

## დღეს ნომერშია

**ქსპერტის რევიზა: საჯარო მოხელეთათვის ჩასატარებელი კონკურსის პირობები მაქსიმალურად ობიექტური უნდა იყოს** 2 გვ.

**„ქართული ოცნება“ ტერიტორიულ ორგანიზებში პარტიულ უკრძალებს აყალიბებს** 2 გვ.

**გამოვლილნივ მოსწავლეთა 67-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის გამარჯვებული მოსწავლეები** 2 გვ.

**რა წარმატებები და პრობლემები სრულდება 2012-2013 სასწავლო წელი** 3 გვ.

**ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი მოქალაქეებს ყოველ ორშაბათს მიიღებს** მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ შეხვდნენ ხარაგაულის მაჟორიტარ დეპუტატ ნოდარ ებანიძეს ყოველი კვირის ორშაბათს 10:00-დან 18:00 სთ-ის ჩათვლით.

მისამართი: ხარაგაული, 9 აპრილის ქ. N 15  
T: ნოდარ ებანიძე- 595850203  
ინვა მაღრაძე- 555 20 63 36 - 591 00 51 42  
0(433) 22 00 41  
E-mail: xaragaulisbiuro@mail.ru

**გიწვევთ კონცერტზე** კვირას, 26 მაისს, 13 საათზე, ხარაგაულის კულტურისა და დასვენების პარკში ღია ესტრადაზე გაიმართება საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი.

**ექვანება მერაბ კოსტავას ხსოვნას** 24 მაისს, 15 საათზე ხარაგაულის შ. ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრი (რეჟისორი და მსახიობი იზა ვეფხვაძე) გამართავს მერაბ კოსტავას ხსოვნისადმი მიძღვნილ სპექტაკლს „საქართველოს შიშველი სატყვარი“.

## აგზაობის აპილო

**სამუსიკო სკოლის შენობა ძირფესვიან რემონტს საჭიროებს** ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 66 ათასი ლარით ფინანსდება. ამ თანხიდან ხელფასებში 58 200 ლარი იხარჯება. სამუსიკო სკოლაში ეტაპობრივად გვარდება ინფრასტრუქტურული პრობლემები. ამჟამად მიმდინარეობს დერეფნის რემონტი, რაზეც 4 300 ლარი დაიხარჯება. სარემონტო სამუშაოები პირველი ივნისისთვის დასრულდება.

„უცილებლად სარემონტო საკლასო ოთახები, შესაცვლელია მთელი სართულზე კარ-ფანჯარა, მოსახერხებელია სკოლის შენობის გარე ფასადი,“ - აღნიშნა სამუსიკო სკოლის დირექტორმა **ლალი აღუქსიძემ** 20 მაისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე. მისივე თქმით, მოქმედებულია ინსტრუმენტები - ათი ფორტეპიანო და ორი როიალი. დარბაზში გასახლებულია სკამები.

„სხდომებზე საკითხის განხილვას შედეგი უნდა მოჰყვეს. სამუსიკო სკოლას ან შიდა რემონტი დაუფინანსოთ, ან ინსტრუმენტების საკითხი მოუგვაროთ,“ - მიმართა ბიუროს წევრებს საკრებულოს თავმჯდომარე **აკაკი მაჭავარიანი**.

ბიუროს წევრებმა სამუსიკო სკოლის დირექტორს მიმართეს, რომ სარემონტო სამუშაოების საჭირო ხარჯთაღრიცხვა საკრებულოს 3 ივნისის სხდომისთვის წარუდგინოს, რათა თანხების გამოჩენისთანავე, სკოლაში სარემონტო სამუშაოები საბოლოოდ დასრულდეს.

### „ინფრასტრუქტურის კუთხით სოფლებში პრობლემები არ მოგვარდება“

20 მაისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე ბიუროს წევრებმა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის, **თემურ გამყემლიძის** ანგარიში მოისმინეს განუყოფელი მუშაობის შესახებ. კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, სოფლებში კვლავ სერიოზული პრობლემებია გზებისა და სასაფლაოების კეთილმოწყობის, ასევე საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსების კუთხით. დღემდე მოუგვარებელია პატარა ხარაგაულში დევდარიანების ქუჩის მოსახლეობის წყალმომარაგების საკითხი. რამდენიმე სოფლის მოსახლეობა ითხოვს კვირაში ერთხელ მუნიციპალიტეტის ცენტრამდე მისასვლელი ტრანსპორტის დანიშვნას.

როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, **აკაკი მაჭავარიანი** აღნიშნა, გზები „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შეკეთდება, ხოლო ნაგავსაყრდელის პრობლემა, მისივე თქმით, ბუნებრივია და ნარჩენების შემკრები მანქანის შექმნით მოგვარდება. ბიუროს სხდომაზე ითქვა, რომ სოფლებში ტრანსპორტის მომსახურებასთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომისთვის დეტალურ ინფორმაციას მოიპოვებენ.

ბიუროს სხდომაზე დეპუტატმა **ნოდარ შერვალაშვილმა** განმარტება მოითხოვა, თუ როგორ განაწილდება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ



ექსპერტმა თვითმმართველობის საკითხებში სანდრო სვანიშვილმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დაინტერესებულ პირებს საჯარო მოხელეთათვის სავალდებულო კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები გააცნო

ბაზალეთი-უბისის გზის შეკეთებისთვის წელს გამოყოფილი 500 ათასი ლარი სხვა პროექტებზე. „ამხელა თანხა გადანაწილდა სხვა პროექტებზე და არც ერთი თეთრი არ შეხვდა ბაზალეთის, სარგვეშის, ღორეშისა და ბორითის ტერიტორიულ ორგანიზაციებს, იმ სოფლებს, სადაც გზა კეთდება,“ - აღნიშნა ბიუროს სხდომაზე რომან შერვალაშვილმა, - ერთ სოფელში მინც მოწესრიგებულიყო რაზე, მძიმე მდგომარეობაშია სოფელი სარგვეში. რწმუნებულს მოსახლეობის მისაღები ოთახი არ აქვს. ანალოგიური მდგომარეობაა ღორეშშიც.

ბიუროს სხდომაზე ითქვა, რომ საკრებულოს მიერ განკარგულებით დამტკიცებულ და სამინისტროში წარდგენილ პროექტებში ბაზალეთი-უბისის გზის კეთილმოწყობა ნამდვილად ეწერა, თუმცა რატომ შეიცვალა პრიორიტეტი, მათთვის უცნობია.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, **ზაზუკი გორგაძის** განმარტებით, 118,8 ათასი ლარი გათვალისწინებულია საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისთვის, რაშიც, შეიძლება, შედიოდეს ბაზალეთი-უბისის გზის დაპროექტება.

P. S. ინფორმაციის დასაზუსტებლად გამგებობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს **ვლადიმერ გელაშვილს** დაუკავშირდით. მისი განმარტებით, საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვის თანხაში ბაზალეთი-უბისის გზის დაპროექტება გათვალისწინებული არ არის.

### საკრებულოს წევრებს უფლებამოსილების განსახორციელებლად ხარჯები გაეზრდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს, რომლებიც საკრებულოში ანაზღაურდებიან თანამდებობაზე (კომისიის ან ფრაქციის თავმჯდომარე) არ მუშაობენ, უფლებამოსილების შესრულების ხარჯების ანაზღაურება 150 ლარიდან 350 ლარამდე გაეზრდება. ამ საკითხს დეპუტატები 3 ივნისს საკრებულოს სხდომაზე განიხილავენ.

### დ. ხარაგაულის წყალმომარაგებაში კვლავ სერიოზული პრობლემებია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ორი დღე მსჯელობდნენ დაბა ხარაგაულში მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით მომარაგებაში და აბონენტთა რეგისტრაციაში არსებული პრობლემების შესახებ. საკითხი ფრაქციის „ქართული ოცნება - ხარაგაული“ წევრმა **რუსუდან გურგენიძემ** მოამზადა. წერილში ყურადღება გამახვილებულია წყლის ხარისხზე, სათავე ნაგებობის გაუმართაობაზე, პატარა ხარაგაულის 50-მდე მოსახლისთვის წყალმომარაგების პრობლემაზე. რამდენიმე ათეული ოჯახი აბონენტთა სიაში შეცდომითაა დარეგისტრირებული.

როგორც „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ხარაგაულის სერვისცენტრის მენეჯერმა **მამუკა ჭიპაშვილმა** აღნიშნა, ხარვეზები ნამდვილად არის აბონენტთა ბაზაში. ამისთვის მოქალაქე უნდა მივიღეს საკრებულოს სერვისცენტრში, სადაც მას ხარვეზის გასასწორებლად აუცილებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი მისცემენ. დოკუმენტები გადაიგზავნება სპეციალურ კომისიაში.

რაც შეეხება პატარა ხარაგაულის დევდარიანების ქუჩის მოსახლეობას, ისინი არც გასულ წლებში სარგებლობდნენ ხარაგაულის წყლით, ამიტომ აბონენტებად არ ირიცხებიან. კომპანია მათ უფასოდ ვერ დააერთებს ქსელზე, თუმცა, ტექნიკურად მათთვის წყლის მიწოდებაა შესაძლებელი.

საკრებულოში მსჯელობისას ითქვა, რომ „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ არ უნდა ხარაგაულის მოსახლეობას სათანადო მომსახურებას და მათგან განუყოფელი ხარჯი ბევრად მცირე, ვიდრე ხარაგაულელი აბონენტებისგან ყოველთვიურად გადახდილი თანხა. ამიტომ დაისვა კომპანიის თვითმმართველობისთვის გადმოცემის საკითხი.

საკრებულოს 3 ივნისის სხდომაზე დეპუტატი რუსუდან გურგენიძე დეტალურ ინფორმაციას წარადგინა დ. ხარაგაულის წყალმომარაგებაში არსებული პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე. შესაძლოა, საკრებულოს სხდომაზე „გაერთიანებული წყალმომარაგების“

ბის კომპანიის“ რეგიონული სამსახურის წარმომადგენლები დაიბარონ.

### მონივი საბიუჯეტო ცვლილება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 109,0 ათასი ლარით გაიზარდა. ეს თანხა ბიუჯეტში ჯარიმების, სანქციებისა და საურავების შემოსავლიდან მიიზარდა. როგორც გამგებობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განმარტებით ბარათში აღნიშნული, ხარჯები მუნიციპალიტეტში შექმნილი მდგომარეობისა და სხვა ახალი ვალდებულებების შესასრულებლად იზრდება.

საკრებულოს ხარჯები 17 ათასი ლარით გაიზარდა, - ათასი ლარი კავშირგაბმულობის ხარჯია, 2 ათასი ლარი - ელენერჯის, 14 ათასი ლარი კი დეპუტატების უფლებამოსილების ანაზღაურების გაზრდას მოხმარდება.

13,6 ათასი ლარით იზრდება თავდაცვის ხარჯები, - შრომის ანაზღაურება 8,6 ათასი ლარით, შტატგარეშე ანაზღაურების ხარჯი - 5 ათასი ლარით.

32,3 ათასი ლარით იზრდება სახანძრო-სამაშველო სამსახურის დაფინანსება, - შრომის ანაზღაურების ხარჯია 18,3 ათასი ლარი, შტატგარეშე ანაზღაურების ხარჯი - 14 ათასი ლარი.

სოფელ ბორში წყალგაყვანილობის მოწესრიგებაზე 1,3 ათასი ლარია გათვალისწინებული, სოფელ თეთრანყაროს ბიბლიოთეკისთვის 400 ლარი, ხიდების რეაბილიტაციისთვის 30 ათასი ლარი.

8,1 ათასი ლარით იზრდება ხალხური შემოქმედების სახლის სუბსიდიის ბუღალტერიის ქალაქ ნესბერში საერთაშორისო ფოტოკლორულ ფესტივალში „ოქროსი ქვიშები“ მონაწილეობის მისაღებად.

იზრდება კულტურის ცენტრის სუბსიდიის 1,3 ათასი ლარით, - ქორეოგრაფიული ანსამბლ „უბისისთვის“ ფორმების შესაქმნელად 700 ლარია საჭირო, ხოლო სახელფასო ფონდის შევსებისთვის - 600 ლარი.

რელიგიის ხარჯებიდან 5 ათასი ლარი ლამის ვანის ღვთისმშობლის ეკლესიის დასახმარებლად მიმართება, 3 ათასი ლარი - უბისის მონასტრისთვის.

# საჭარო მოხელეთათვის რასატარებელი კონკურსის პირობები მაქსიმალურად ობიექტური უნდა იყოს

**17-18 მაისს ხარაგაულის მაკონკრეტო დეპუტატის მიერ ინიციატივით ექსპერტი თვითმმართველობის საკითხებში სანდრო სვანიშვილი მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებს და მოქალაქეებს შეხვდა. შეხვედრის მთავარი თემა საჯარო მოხელეთათვის პირველი ივლისიდან სავალდებულო კონკურსის ჩატარება გახლდათ. ექსპერტმა ამ საკითხთან დაკავშირებული რეკომენდაციები წარუდგინა დაინტერესებულ პირებს. „ჩვენი შეხვედრის მიზანია, სამუშაო ვითარებაში განვიხილოთ რეკომენდაციები, - მიმართა დამსწრეთ სანდრო სვანიშვილმა, - ვნახოთ, რისი შესწორება ჯობია, რა დაეუმატოთ, რა გამოვაკლოთ. ეს რეკომენდაციები გამოვადგინებთ კონკურსების ჩატარებაში. კონკურსი უნდა იყოს რეალური და არა ფორმალური. კონკურსით თვითმმართველობაში უნდა დასაქმდნენ ადამიანები, ვინც რეალურად შეძლებს თვითმმართველობის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას.“**

## რა სამუშაოები უნდა ჩატარდეს თვითმმართველობაში კონკურსად

2012 წელს „საჯარო სამსახურის შესახებ კანონში“ შესული ცვლილებების თანახმად, პირველი ივლისიდან, პირი შეიძლება კონკურსგარეშე დაინიშნოს მხოლოდ სამი თვის ვადით.

ექსპერტ სანდრო სვანიშვილის რეკომენდაციით, აუცილებელია თვითმმართველობაში დაინიშნოს ორგანიზაციული სტრუქტურები და მოხდეს ოპტიმიზაცია. „თქვენ იცით, რომ შტატები და სტრუქტურები საკმაოდ განსხვავებული და შეიძლება ითქვას, საკმაოდ გაბეროვებული არის. ამიტომ თუ ჩვენ დღეს ჩავატარებთ კონკურსს, უნდა ჩავატაროთ იმ შტატებისთვის, რაც გვყავს. კონკურსის შემდეგ ვეღარ შეამცირებ შტატს. ეს არაეთიკურია და ამავე დროს ბუჯეტს აზარალებს, რადგან თუ ადამიანს გაათავისუფლებთ შტატების შემცირების გამო, მაშინ მას ორი თვის კომპენსაცია უნდა მისცეთ. თუ ათი სამსახური ფუნქციონირებს და თქვენ თვლით, რომ შეიძლება უნდა იყოს, შეიძლება გამოაცხადებთ კონკურსს. ამ შემთხვევაში ვერაფერს შეგედავებათ,“ - აღნიშნა ექსპერტმა.

ევროპის ქართლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობები თავად განსაზღვრავენ ადმინისტრაციულ სტრუქტურას საჭიროებიდან და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებიდან გამომდინარე. პრიორიტეტები კი განვითარების სტრატეგიაში უნდა იყოს ასახული, რაც თვითმმართველობებს არ შეუძლებიათ. სტრატეგია განსაზღვრავს, სტრუქტურაში რა სჭირდება თვითმმართველობას და რომელი სამსახურები უნდა გაძლიერდეს.

სტრუქტურების ოპტიმიზაციის შემდეგ უნდა შეფასდეს, რომელი სამსახურის რა აქვს გასაკეთებელი და რამდენი ადამიანი ამ საქმის შესასრულებლად საჭიროა. საშტატო ნუსხის განსაზღვრა და სამუშაოთა აღწერის მიხედვით შედგენა არის ძალიან მნიშვნელოვანი. „კონკურსის ჩატარებამდე სამუშაოთა აღწერა უნდა შეიმუშავდეს. ამის მიხედვით საკვალიფიკაციო მოთხოვნები შედგება,“ - ამბობს ექსპერტი.

ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა უზრუნველყოფდეს თვითმმართველი ერთეულის მიზანს. თვითმმართველობის მთავარი მიზანია, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება. ამაზე მთავარი მიზანი არ არსებობს. თვითმმართველობა რეალურად დამოუკიდებელი არ იყო, - ეს ფაქტია. დღეს მთავარი მიმართულება ის არის, რომ კანონმა რეალურად იკანონოს. თვითმმართველობის უფროსი არაგინა, გარდა მოსახლეობისა. მოსახლეობის ინტერესების გამოხატველია საკრებულო. მთავარი ქმედება სწორედ ამაზე უნდა იყოს ადგებული. მთლიანობაში უნდა იგვემბოდეს ერთი სამსახური და კოორდინირების და ეკონომიკური პრინციპები უნდა იყოს გათვალისწინებული. ფუნქციების განხორციელების მიხედვით - დეპუტატებით, სამუშაოთა აღწერის მიხედვით და სამუშაოთა გვეგით ნიშნავს იმას, რომ სტრუქტურა აწყობილია - ვიცით, რამდენი კაცი რა საქმის გასაკეთებლად გვჭირდება. ასეთ შემთხვევაში კონკურსი შედეგს მოიტანს.

## საკონკურსო კომისია

კანონში შესული ცვლილებების თანახმად, საჯარო მოხელეთა შესარჩევი საკონკურსო კომისია მუდმივმოქმედია. კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც საკრებულო აირჩევს, საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით ირჩევს კომისიის წევრებს. ექსპერტის რეკომენდაციით, საკრებულომ წინასწარ უნდა დაადგინოს პროპორციები - 1/3 აუცილებლად საკრებულოს შემადგენლობიდან, 1/3 არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, 1/3 მონვეული



სპეციალისტები. თუმცა კანონში ზოგადი ჩანაწერია, რომ კომისიის თავმჯდომარე დანესტრუქტურის ხელმძღვანელთან ერთად განსაზღვრავს კომისიის წევრთა რაოდენობასაც და შეადგენლობასაც.

„ობიექტურობას ხიფათი არ უნდა შევექმნათ და წინასწარ გარკვეული რეგლამენტირება უნდა გაუკეთოს საკრებულომ, რა და როგორ მოხდეს. ამას აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა. საკონკურსო კომისია უნდა იყოს დაბალანსებული, რომ ობიექტური გადაწყვეტილება მიიღოს.“

მნიშვნელოვანია, რომ კომისია არ დაკომპლექტდეს პარტიული ნიშნით. ეს ენინააღმდეგება კონკურსის პრინციპებს. პოლიტიკურ პარტიას საჯარო სამსახურთან არ უნდა ჰქონდეს კავშირი. საკრებულო პოლიტიკური ორგანოა, მაგრამ საჯარო მოხელეები არიან არაპარტიულები, - ამბობს ექსპერტი.

საკონკურსო კომისიასთან ერთად იქმნება საპრეტენზიო კომისია, რომელსაც მხოლოდ რეკომენდაციის მიცემა შეუძლია კომისიისთვის. საკონკურსო კომისია ქმნის სამდივნოს.

კონკურსის სამართლებრივი საფუძველია პრეზიდენტის ბრძანებულება და საჯარო სამსახურის შესახებ კანონი. თუმცა, ექსპერტის თქმით, პრინციპების დონეზე ამ ორ დოკუმენტში კონკურსზე საუბარი და საჭიროა, რომ თვითმმართველობაში შეავსოს თავის მიერ მიღებული აქტებით. კონკურსი ერთბაშად არ ჩატარდება. ეტაპობრივად უნდა გამოცხადდეს სხვადასხვა სამსახურებისთვის.

## კონკურსის ჩატარების ფორმები

ტესტირება, წერითი გამოცდა, გასაუბრება - კონკურსის ამ ფორმებიდან კომისიას შეუძლია დაანუსოს სამივე ან ერთ-ერთი. ექსპერტის რეკომენდაციით, ტესტირების დროს უფრო ცხადია ყველაფერი, გასაუბ-

რების ფორმატის დროს უფრო რთულია ობიექტურობის დაცვა. სანდრო სვანიშვილმა დამსწრეთ მის მიერ შემუშავებული გასაუბრების ფორმის ნიმუშები შესთავაზა, რომელიც მისივე თქმით, დამატებით ფსიქოლოგებმა უნდა განიხილონ. რა კითხვები შეიძლება დაისვას გასაუბრების დროს, რომელიც რეალური შეფასების საშუალებას მოგვცემს.

კონკურსის პირველი ეტაპი კონკურსანტთა განცხადებების მიღება და მისი განხილვაა. კონკურსანტებისთვის მინიმალური მოთხოვნების გარდა (ქართულ ენაზე გამართული წერილობითი და მეტყველებითი უნარი, საოფისე კომპიუტერული პროგრამების სამომხმარებლო დონეზე ცოდნა, საშუალო განათლება) თვითმმართველობამ დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა დაანუსოს, რომელსაც საკრებულო დაადგენს.

საჯარო მოხელისთვის სავალდებულოა შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა: კონსტიტუცია, ევროპული ქარტია თვითმმართველობის შესახებ, ორგანული კანონი თვითმმართველობის შესახებ, საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექ-

სის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე თავები, საკრებულოს და გამგებლის დებულებები. გამგებლის მოადგილისთვის და სამსახურის უფროსისთვის რეკომენდირებულია პროფესიული უნარების ცოდნა და საჯარო სამსახურში მუშაობის არანაკლებ სამი წელი. მნიშვნელოვანია, საჯარო მოხელემ იცოდეს ის კანონები, რომლებიც მას სამუშაოთა აღწერის მიხედვით სჭირდება. სხვადასხვა მოთხოვნები უნდა დაანუსოს სპეციალისტის, უფროსი სპეციალისტის და სამსახურის უფროსის მიმართ.

კომისიამ უნდა მიიღოს გასაუბრების, ტესტირების ჩატარების წესი, წერითი დავალების კრიტერიუმები, ბარიერის ქულები.

კონკურსზე დასწრების უფლება, ექსპერტის რეკომენდაციით, აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს. მათზე საკონკურსო კომისიისგან სპეციალური საშუალება დაიშვას. კომისიას ვეალება ყველა ოქმის გამოქვეყნება, სხვა ვალდებულება საჯაროობის კუთხით, მას არ აქვს, სანდრო სვანიშვილის თქმით, კომისიის მუშაობისთვის უკეთესია, სხდომები ღია იყოს მედიისთვის. გამჭვირვალობა და ღიაობა თვითმმართველობისთვის აუცილებელია. თვითმმართველობა ჩაიკეტება თუ არა, მაშინვე ჩნდება პრობლემები. დამკვირვებელმა მხოლოდ თვალყური უნდა ადევნოს პროცესს.

საჯარო მოხელეთა შესარჩევ კონკურსთან დაკავშირებული ყველა წესი წინასწარ უნდა გამოქვეყნდეს კონკურსამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე. საჯარო მოხელეთათვის ზუსტად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაოთა აღწერა და საკონკურსო პირობების საჯაროობა კონკურსის მაქსიმალურად ობიექტურად ჩატარების საფუძველია. **ნინო კაპანაძე**

# „ქართული ოცნება“ ტერიტორიულ ორგანოებში პარტიულ უზრუნველს აყალიბებენ

21 მაისს პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ხარაგაულის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ბაზალეთში, ქროლსა და ღარიხევში მოსახლეობასთან შეხვედრები გამართეს. შეხვედრის ძირითადი მიზნები ამ სოფლებში პარტიის რეგიონული უჭრედის შექმნა გახლდათ.

**ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი**, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ხარაგაულის ოფისის თავმჯდომარის მოადგილე: - რეგიონული უჭრედი გულისხმობს იმ ჯაჭვის ერთ რგოლს, რომელიც აკავშირებს ხელისუფლებას მოსახლეობასთან. თუ ჩვენ ვერ მოვახერხებთ ყოველივე რეგიონში მოსახლეობასთან ურთიერთობას, მათ გასაჭირს და პრობლემებს ვერ ვაძლავებთ პარტიის რეგიონული უჭრედი და ეს დაგვეხმარება მოვაგვართო ხალხის პრობლემები. ეს არის კიდევ ერთი მაკონტროლებელი ორგანო სოფლებში, რათა შესრულდეს ყველა ის დაპირება, რაც წინასწარჩვენოდ ითქვა.

შეხვედრები სამივე სოფელში მოსახლეობის დიდი აქტივობით გამოირჩეოდა. ქროლის მოსახლეობის უპირველესი პრობლემა სავაზაფხულო სამუშაოებს - ხვნა-თესვის უკავშირდება. მართალია, სახნავი პროცესები ბაზალეთის ტერიტორიაზე ორგანოს სოფლებში დასრულდა, მაგრამ მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს სამუშაოს უზარისხოდ შესრულების გამო. „იმ ტრაქტორის მიერ დახსნილი მინა გუშინ ჩემი მგობლობის დახმარებით ისევ ხარებით დახსნი“, - თქვა ქროლელმა გლეხმა. მოსახლეობის აზრით, ასეთი ტიპის ტრაქტორები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოუხერხებელია. სამომავლოდ მოსახლეობა პატარა მუხლუხეები ტრაქტორს ითხოვს, რომელიც უკეთესად მოერგება ჩვენს მთავრობის რელიეფს.

დასაქმების პრობლემა, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ამ სოფლებშიც აქტუალურია. ვარლამ (ტატო) თავზარაშვილის თქმით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იგეგმება ხილის გადამამუშავებელი ოთხი ქარხნის მშენებლობა. აქედან ერთი განთავსდება მოლითის ტერიტორიაზე.

## ვულოცავთ

გამოვლინდნენ 2013 წლის მოსწავლეთა 67-ე სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში გამარჯვებული მოსწავლეები. საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულმა სასახლემ ისინი დიპლომებითა და სიგელებით დააჯილდოვა.

პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა ვერტყვიანის საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლემ **ამირან ლომიძემ** ფოლკლორის სექციამო მოპოვებული გამარჯვებისთვის. მეორე ხარისხის დიპლომი დაიმსახურეს: **თონა წიქინიშვილმა** (ვაშლიანის საჯარო სკოლა, მეცხრე კლ. საქართველოს ისტორიის სექცია), **ანა გიორგაძემ** (ბორის საჯარო სკოლა, მეთორმეტე კლ. შემოქმედ მოსწავლეთა სექცია), **დიმა გვრიტაძემ** (კიხის საჯარო სკოლა მეცხრე კლ. ფოლკლორის სექცია), **ნინო ლაცაბიძემ** (მოლითის საჯარო სკოლა, მეათე კლ. ქართული ენის სექცია).

სიგელებით დაჯილდოვდნენ: **მარინა გოგოლაძე** (ვერტყვიანის საჯარო სკოლა, მეცხრე კლ. ბიოლოგიის სექცია), **ვახტანგ აბაშიძე** (ვერტყვიანის საჯარო სკოლა, მეათე კლ. ეთნოგრაფიის სექცია), **ნინო მლიაძე** (ვერტყვიანის საჯარო სკოლა, მეთორმეტე კლ. ეთნოგრაფიის სექცია), **თორნიკე ლომიძე** (ვერტყვიანის საჯარო სკოლა, მეათე კლ. ეთნოგრაფიის სექცია), **თამარ ლომიძე** (ვერტყვიანის საჯარო სკოლა, საქართველოს ისტორიის სექცია), **ნინო ჭყიტი** (მარეხის საჯარო სკოლა, მეთორმეტე კლ. საქართველოს ისტორიის სექცია), **ქეთევან სხილაძე** (ხარაგაულის #3 საჯარო სკოლა, მეთორმეტე კლ. საქართველოს ისტორიის სექცია), **ლევან გორგაძე** (ხევი, მეცხრე კლ. საქართველოს ისტორიის სექცია), **ანა ორჭონიკიძე** (ლორეს საჯარო სკოლა, მეათე კლ. საქართველოს ისტორიის სექცია), **მარია მალაფიშვილი** (ხარაგაულის #2 საჯარო სკოლა, მეცხრე კლ. უცხო ენების - ინგლისური - სექცია), **თამარ ენების** - ინგლისური - სექცია), **თამარ**

ერთი დ. ხარაგაულის, კიხისა და ძირულას ხეობის მიმდებარე სოფლებში.

„მუნიციპალიტეტში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის პრობლემებს შეისწავლის. მათ დასახმარებლად გამოყოფილია თანხა და ვიმედოვნებთ ეს თანხა მოხმარდება მათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება. სწორედ ასეთი პროექტების მონიტორინგისთვის შეიქმნა პარტიის რეგიონული უჭრედი.“ - აღნიშნა შეხვედრებზე ტატო თავზარაშვილმა.

**ბაზალეთის ტერიტორიულ ორგანოში პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“** რეგიონული უჭრედის უფროსად თენგიზ ჭიპაშვილი დაინიშნეს.

**თენგიზ ჭიპაშვილი:** - პირველი რიგში უნდა ადგეს ქროლელი და ხალხმა უნდა იგრძნოს ეს. არაა საჭირო ვილაპარაკოთ და საქმე არ გავკეთდეს, სიტყვა და საქმე უნდა იყოს ერთი.

**სამივე სოფლის მოსახლეობა ერთხმად აღნიშნავდა** კმაყოფილებას სოფლის ახლადდანიშნული რწმუნებულის, ვარლამ ჭიპაშვილის მიმართ.

**ვარლამ ჭიპაშვილი** ბაზალეთის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული: - პარტიამ გავკეთა სწორი არჩევანი, როცა თენგიზ ჭიპაშვილი დასახელდა ბაზალეთის ტერიტორიული ორგანოს სოფლებში დასრულდა, მაგრამ მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს სამუშაოს უზარისხოდ შესრულების გამო. „იმ ტრაქტორის მიერ დახსნილი მინა გუშინ ჩემი მგობლობის დახმარებით ისევ ხარებით დახსნი“, - თქვა ქროლელმა გლეხმა. მოსახლეობის აზრით, ასეთი ტიპის ტრაქტორები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოუხერხებელია. სამომავლოდ მოსახლეობა პატარა მუხლუხეები ტრაქტორს ითხოვს, რომელიც უკეთესად მოერგება ჩვენს მთავრობის რელიეფს.

დასაქმების პრობლემა, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ამ სოფლებშიც აქტუალურია. ვარლამ (ტატო) თავზარაშვილის თქმით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იგეგმება ხილის გადამამუშავებელი ოთხი ქარხნის მშენებლობა. აქედან ერთი განთავსდება მოლითის ტერიტორიაზე.

**პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“** აგრძელებს სოფლებში პარტიული ორგანოების ჩამოყალიბებას.

**თამაზ გოგოლაძე**

**შანიქაძე** (ლეღვანი, მეთორმეტე კლ. ქართული ენის სექცია), **კოტე გოგოლაძე** (ვარძია, მეცხრე კლ. აგრო-ბიოტექნოლოგიის სექცია), **თონა ცხველაძე** (ლეღვანი, მეთორმეტე კლ. აგრო-ბიოტექნოლოგიის სექცია), **სალომე ცხველაძე** (ლეღვანი, მეთორმეტე კლ. აგრო-ბიოტექნოლოგიის სექცია), **მარიამ ანუღაძე** (ბორის საჯარო სკოლა, მეთორმეტე კლ. აგრო-ბიოტექნოლოგიის სექცია), **მარიამ დევდარიანი** (ლეღვანი, მეთორმეტე კლ. აგრო-ბიოტექნოლოგიის სექცია), **ვთერ ხიჯაძე** (ვარძია, მეცხრე კლ. შემოქმედებითი სექცია), **ნანა ჭანჭველაძე** (წყალაფორეთი, მეცხრე კლ. შემოქმედებითი სექცია), **კობა ვერიკაშვილი** (ვარძია, მეათე კლ. შემოქმედებითი სექცია), **ნინო ჭიპაშვილი** (ხარაგაულის #3 საჯარო სკოლა, მეთორმეტე კლ. ქართული ლიტერატურის სექცია), **მარიამ თხილაძე** (ხარაგაულის #3 საჯარო სკოლა, მეათე კლ. ქართული ლიტერატურის სექცია), **ნინო დავაძე** (ხარაგაულის #2 საჯარო სკოლა მეთორმეტე კლ. ქართული ლიტერატურის სექცია), **თამარ გოგოლაძე** (ლორეს, მეთორმეტე კლ. ქართული ლიტერატურის სექცია), **თინათინ ლურსმანაშვილი** (სასულიერო გიმნაზია მეთორმეტე კლ. ქართული ლიტერატურის სექცია), **ლევან გოგოლაძე** (ხარაგაულის #2 საჯარო სკოლა, მეთორმეტე კლ. ფიზიკის სექცია), **მარიამ ხიჯაძე** (ბორის, მეათე კლ. ბიოლოგიის სექცია), **თამარ ცხველაძე** (ლეღვანი, მეათე კლ. ბიოლოგიის სექცია), **უანა ლონაძე** (ვახანი, მეთორმეტე კლ. მათემატიკის სექცია), **ალიკა კურტანიძე** (ხევი, მეათე კლ.) უცხო ენების - გერმანული- სექცია, **გიორგი კურტანიძე** (ხევი, მეათე კლ.) უცხო ენების - გერმანული - სექცია.

საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლიდან მადლობა ფურცლებით დაჯილდოვდნენ შედეგები: **მარინა ხაჩიძე** - ვერტყვიანის საჯარო სკოლა, **მანანა ლომიძე**, ვერტყვიანის საჯარო სკოლა, **ნათელა ჩიტორელიძე** - ბორის საჯარო სკოლა.

# რა წარმატებებითა და პრობლემებით სრულდება 2012-2013 სასწავლო წელი



**დავით ლუტსმანაშვილი, სან-გვერდის საჯარო სკოლის დირექტორი:**

-სწავლის პროცესი ჩვენს სკოლაში წარმატებით მთავრდება. შეიძლება მოსწავლე მეცხრე კლასს ამთავრებს 8 და 9 ქულაზე. პირველ კლასში ორი მოსწავლეა და წლის ბოლოს ორივეს მაღალი შეფასება მიეცა. მიმდინარე წელს არ გვეგმავთ შენობის რემონტს. გვაქვს მხოლოდ წყლის პრობლემა, რაც მალე მოგვარდება. ვასულ წელს შევიძინეთ ინვენტარი, გვაქვს ახალი მერხები, დაფები, სკამები. ასევე მოვანერვიეთ სველი წერტილები. ასე რომ, ინფრასტრუქტურა გავაუმჯობესეთ.



**დავით ლუტსმანაშვილი, ხარაგაულის #3 საჯარო სკოლის დირექტორი:**

-ჩვენი სკოლის ორი მოსწავლე გადავიდა სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტურში. ორივე მათგანი - ქეთევან სხილაძე და არჩილ მისურაძე ზაფხულზე ინგლისურენოვან ბანაკში დაისვენებენ. პრობლემები წელ-წელა გვარდება. მალე სკოლაში თანამედროვე დონეზე მოწესრიგდება სველი წერტილები. მოშენებულ ფლიგელში ფანჯრების პრობლემა და დაგვიპირდნენ, რომ მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარას ჩასვამენ. რჩება მხოლოდ იატაკის პრობლემა, მაგრამ, იმედი, ესეც მოგვარდება.



**ნანა ლომიძე, მოლითის საჯარო სკოლის დირექტორი:**

-მოლითის საჯარო სკოლაში შეგვიპირდნენ სახურავის პრობლემის მოგვარებას და მეორე სართულზე კარ-ფანჯრის გამოცვლას. დანარჩენ პრობლემებს ჩვენი ძალებით ვუძღვრავდებით. გადასაჭრელია სასწავლო წლის საკითხი. მოვანერვიეთ წყლის ავზი, შევიძინეთ მილები, მოსაწესრიგებელია წყლის სათავე და სკოლაში მოყვანას ჩვენ მოვავარებთ.



**ნინო ჩხვიძე, წიფის საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე:**

-ჩვენი სკოლის მოსწავლეები მობილიზებული არიან ყოველდღიურად და სწავლის დონე მაღალია. გვყავს ოლიმპიადებში გამარჯვებული ბავშვები. შევეცდებით, ეს შედეგები გავაუმჯობესოთ. მეთორმეტკლასელები ცდილობენ კარგად მოემზადონ, რადგან წინ ეროვნული გამოცდებია. იმედს ვიტოვებ, კარგი შედეგები გვექნება.



რაც შეეხება პრობლემებს, შესარემონტებელია სკოლის შენობის პირველი-მეორე სართული. 1983 წლიდან, რაც სკოლის ახალი შენობა გაიხსნა, რემონტი არ ჩატარებულა. კარ-ფანჯრები კი შეცვალეთ წინა წლებში, მაგრამ იმდენად უხარისხო იყო მასალა, ისევე გამოსაცვლელია. გვპირდებიან მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების ჩასმას.

**გურამ გოგოლაძე, ხევის საჯარო სკოლის დირექტორი:**

-წარმატებით ვასრულებთ სასწავლო წელს. ორი მედალოსანი მოსწავლე გვყავს. უმაღლეს სასწავლებელში აბარებს ხუთი კურსდამთავრებული და დიდი იმედი მაქვს, რომ ხუთივე ჩაირიცხება. ჩვენი სკოლის უმთავრესი პრობლემა ისაა, რომ გასარემონტებელია საკლასო ოთახები. ამისთვის საჭიროა დოკუმენტაციის სასწრაფოდ მოწესრიგება. იმედი მაქვს, მოცემულ დროში ჩავეტევი.

## მიამღვანა გმირს, რომლის სახელიც უკვდავია

20 მაისს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ხარაგაულის ოფისში გაიმართა ღონისძიება, რომელიც ერთი წლის წინ ტრაგიკულად დაღუპული რეინჯერის, მერაბ არევაძის სლოვენს მიეძღვნა. ღონისძიებაში ექვსი სკოლის (მარეღისი, ლეღვანი, გვარე, ვახანი, მოლითი, ხარაგაულის #3 სკოლა) მოსწავლეები მონაწილეობდნენ.



პორტო მაგისტრალის მშენებლობის გამო ეკოსისტემა ნადგურდება და ბუნებას საფრთხე ემუქრება. ამიტომ, მისი თქმით, ამგვარი ღონისძიებები ნაადგება საზოგადოებას.

მოსწავლეებმა წარადგინეს ნაშრომები ეროვნული პარკებისა და ნაკრძალების ბიომრავალფეროვნების შესახებ. ლეღვანის სკოლის მოსწავლეებმა ბრიტანული ორგანიზაციის მიერ დაწესებული პროექტ რეფორმ-დში გაიმარჯვეს და ღონისძიებაზე გამარჯვებული თემებით წარადგინეს. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა ქალბატონი მანანა ტაბაშიძე, რომელმაც განმარტა ამ ღონისძიების მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ მერაბ არევაძემ თავისი სიცოცხლე დასწავლით ტერიტორიების არსებობას შესწირა. ღონისძიების მიმდინარეობისას დამსწრე საზოგადოებას ბატონმა დავით კვიციანი მიმართა, რომელმაც განმარტა, რომ ახალი სატრანსპორტო მაგისტრალის მშენებლობის გამო ეკოსისტემა ნადგურდება და ბუნებას საფრთხე ემუქრება. ამიტომ, მისი თქმით, ამგვარი ღონისძიებები ნაადგება საზოგადოებას.

**მარიამ არევაძე**

## ვაჟა კაციტაძის ბასხმება



მამა, 5 წელი გავიდა 25 მაისს იმ დღიდან, რაც მარაღისბაში გადასახლდა. 1984 წლიდან შენ ხომ ორივე მშობლის მაგივრობას გვინებდი შეილებს. იყავი კეთილი, ყურადღებიანი, სპეტაკი ადამიანი. მეგობრებზე, ნათესავებზე, სამსახურზე უზომოდ შეყვარებული. მუშაობდი სხვადასხვა ორგანიზაციაში. ბოლოს 30 წელი იმსახურე კუმბურგაბულონის რაიონულ კვანძში, როგორც დამსახურებულმა ბუღალტრმა.

**გოგოლაძე კამაკაძის ბასხმება**

პირველად ვხვდებით 25 მაისს, შენს დაბადების დღეს, უშენოდ. დიდი ხანი არ არის, რაც უშენოდ დავინწყეთ ცხოვრება, მაგრამ ძალიან გვენატრები და მხოლოდ მოგონებები დავგრჩა.

მშვიდად წახვედი ამქვეყნიდან. ბედნიერი იყავი, როცა გვერდით მოსიყვარულე შეილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები გყავდნენ.

ღმერთმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი! დაბადების დღეს გილოცავთ!

**შვილები და შვილიშვილები ოჯახებით**

ღეღა ენდი, ბიძა გიბო, ბიძაშვილები: გრიგოლ, რამაზ, თაზო ბუაჩიძეები; დეიდაშვილები პაატა, სოფო, კობა ჭიპაშვილები, ლადო ჭიპაშვილი ოჯახებით იუნცებიან, რომ გარდაიცვალა

**მერაბ შარიქაძე**

დაიკრძალა 23 მაისს ლეღვანში. ხარაგაულის #2 საჯარო სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი სამძიმარს უცხადებს იამზე დეკანოსიძეს ბაბუის აუკაი (ვაკო) ჩიკვაიძის გარდაცვალების გამო.

ანზორი არევაძე, მათა დევიდარიანი, პაატა გოგოლაძე, რომა ლაბაძე, ნიკუშა მაჭავარიანი, შორენა ბუაჩიძე, დათო კურტანიძე, ლევან ბუაჩიძე, ნელი შარიქაძე, გულო ტალახაძე, მალვინა ჩერქეშიშვილი, ნანა ჯანიაშვილი ოჯახებით თანაუგრძობენ მიმოზა ვეფხვაძე-ტორთოშვილიძის მამლის როსტომ ვეფხვაძის გარდაცვალების გამო.

## მერი მაღრაძის ბასხმება

უკვე ერთი წელი მიილია, რაც გამოაკლდი შენს სოფელს, ბიძაშვილებს, შენს საყვარელ ოჯახს. იყავი მუდამ მუხლმოუღრეველი, მშრომელი და ოჯახზე მზრუნველი. შენი გული დიდ და გაუსაძლის ტკივილს იტანდა. შემზარავი და გაუსაძლისი იყო შენთვის ელდარის ტრაგიკულად დაღუპვა, რომელმაც სამუდამო დაღი დაგასვა. ძალიან მძიმე გადასატანი იყო შენთვის მერაბი არევაძის ბნელით მოცული ტრაგიკული გარდაცვალება. ამბობდი კიდევ, მერაბის სიკვდილმა სულ განმიახლა ყველაფერი. უზომოდ დამზუნბული იყავი და ერთ კვირაში, 24 მაისს შენც მოაკლდი შენს საყვარელ ოჯახს. ნათელი ფეინოს შენს უკვდავ სულს. სანთელ-საკმეველი გინათებდეს გზას მარადიულ სასუფეველში.

**ბიძაშვილები სოფელი მარეღისი**

## მერი მაღრაძის ხვედელიძის ხსოვნას



2013 წლის 24 მაისს ვახდებთ ერთი წელი იმ ავადმოსავონარი დღიდან, როდესაც შენ წახვედი ამ ქვეყნიდან. რაც დრო გადის, მით უფრო მწვეველ განვიცდი უშენობას. დღე არ გავა ისე, რომ არ გავიხსენო. ღმერთს ვთხოვ შენი სკოლის ნათელში ყოფნას. ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ ჩემთვის ასე არ ყოფილა, მიჭირს უშენოდ. ჩვენ ანი უფრო ვჭირდებით ერთმანეთს, ჩემო მერი. არაფერია ამქვეყნიდან სიკვდილზე სამხიელი და მონატრებაზე ძნელი. ძნელია წარსულზე ვილაპარაკოთ. 48 წელი ერთად შრომამი გავატარეთ. ელდარის დაღუპვის შემდეგ ძალზე დაჩაგრული ვიყავით. სულ იმას ამბობდი, როდის მივალ ჩემს შვილთანო. ნატვრა შეგისრულდა. თქვენ ყველასთვის კეთილი და პატივისცემული იყავით. ღმერთმა ნათელში გამყოფოთ.

**მეუღლე კალენიკე ხვედელიძე**

გოჩა ჩადუნელი ოჯახით თანაუგრძობს ნუგზარ და გივი ჩადუნელების ოჯახებს მამის შოთა ჩადუნელის გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები: ომარი, ოთარი, მურმანი, გია, მადლენა, მარინა, ცისანა, არსენ, ვალოდია, ვაჟა, გურამი მაღრაძეები, კარლო ხვედელიძე ოჯახებით თანაუგრძობენ თემური და ლამარა მაღრაძეებს, ქეთილი შარიქაძეს დედისა და დედამთილის

**ანა მაღრაძის**

გარდაცვალების გამო.

მოლითის საჯარო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები და კლასის ხელმძღვანელი გ. ჭინჭარაძე თანაუგრძობენ ამავე კლასის მოსწავლეს მათა კვიციანის გიორგი (ვოლია) კვიციანის გარდაცვალების გამო.

მუშაობდი სხვადასხვა ორგანიზაციაში. ბოლოს 30 წელი იმსახურე კუმბურგაბულონის რაიონულ კვანძში, როგორც დამსახურებულმა ბუღალტრმა.

ძალიან გვენატრები მამა, რომ ჩვენს გვერდით აღარ ხარ. ყოველ აღდგომას ვიკრიბებით შენი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები შენს საფლავთან, გინათებთ სანთლებს, ვამბობთ შენი და დედის, რუსიკო კაციტაძის, შესანდობარს. დედა ხომ ძალიან ახალგაზრდა, 53 წლის ასაკში წავიდა ამ ქვეყნიდან. ვერ მოეხსნო თავისი შვილიშვილებისა და შვილთაშვილების მოფერებას და მოსიყვარულებას.

ნათელი ფეინოს თქვენს უკვდავ სულს. სანთელ-საკმეველი გინათებდეთ გზას მარადიულ სასუფეველში.

**შვილები ცისანა და ციციბო კაციტაძეები**



მაყვალა და ზურიკო გიორგაძეების ოჯახი სამძიმარს უცხადებს ნანი და კუკური მდინარაძეებს საყვარელი შვილის ალექო მდინარაძის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

მაყვალა და ზურიკო გიორგაძეების ოჯახი სამძიმარს უცხადებს მანანა და სპარტაკ ნიქაბაძეებს უსაყვარლესი შვილის სოსო ნიქაბაძის ტრაგიკულად დაღუპვის გამო

გია და მარინა აბულაძეები ოჯახით იუნცებიან, რომ გარდაიცვალა ალექო მდინარაძე და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ბორის საჯარო სკოლის კოლექტივი თანაუგრძობს კუკური და ნანი მდინარაძეებს საყვარელი შვილის

**ალექო მდინარაძის** ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.



# „გავუფრთხილდეთ ჩვენს ღვთივბობებულ ენას“

ხარაგაულის საბავშვო ბიბლიოთეკაში, კერძოდ, ბიბლიოთეკარმა სოფო ლაყაბიძემ, მარტში ჩაატარა დ. ხარაგაულის სამიწვე საჯარო სკოლის მე-5 კლასელთა შორის კალიგრაფიის კონკურსი. კონკურსის შედეგად გამოვლინდა 11 გამარჯვებული.

21 მაისს საბავშვო ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეების მონაწილეობით. მათმა საოცარმა ხმებმა გამოაკვირებინა ბიბლიოთეკის კვლევი. მოსწავლეებმა ბევრი ლექსი და ისტორიული ცნობა გადმოგვცეს ქართული ენის შესახებ, გამოკვეთეს 1978 წელს ქართული ენის დაკარგვის საფრთხე, შეამკვეს ქართული ენა უამრავი ლამაზი სიტყვით.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მონაწილე ბავშვების ქართული ენის მასწავლებლები. ერთ-ერთი გახ-

ლდათ ქალბატონი ნელი შარიქაძე. „მადლობელი ვარ, რომ დღეს მოვისმინე პატივისცემა ქართული ენისა. ქართველისათვის მთავარია ქართული ენის სიყვარული, იყავით წიგნიერები, რადგანაც მძიმეა ადამიანის ცხოვრება მის გარეშე,“ - აღნიშნა ნელი მასწავლებელმა.

ღონისძიების დასასრულს მოსწავლეები დააჯილდოვეს სიგელებითა და ბლოკნოტებით. ქალბატონმა მაკა ბუაჩიძემ გამარჯვებულებს გადასცა ქართული ანბანი და ლოცვანი. ღონისძიების ორგანიზატორმა, ბიბლიოთეკარმა, სოფო ლაყაბიძემ განხილეს „ჩემი ოცნების ბიბლიოთეკა“. ნორჩი მკითხველების სურვილია ბიბლიოთეკაში ახალი წიგნები შემოიტანონ და შენობა გარემონტდეს. მათი მთავარი სათქმელი იყო ის, რომ არასოდეს მიიტო-

ვებენ საყვარელ ბიბლიოთეკას.

ბიბლიოთეკის დირექტორმა ნანა ლურსმანაშვილმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორს ლამაზი დღისთვის. თავის მხრივ სოფო ლაყაბიძემ აღნიშნა, რომ თუ დღეიდან ეს ბავშვები სწორად იმეტყველებენ ქართულ ენაზე, მაშინ მისი მთავარი მიზანიც მიღწეული იქნება. „საჭიროა, ქართულ ენას მშობელი დედასავით ველოლიავებოდეთ და დავიცვათ მისი სინძინე.“

ქართული ანბანი ერის განძია, რომელიც თითოეულმა ქართველმა კარგად უნდა იცოდეს. სამ ეროვნულ საუნჯეს „ენას, მამულს, სარწმუნოებას“ ისე უნდა გავუფრთხილდეთ და დავიცვათ, როგორც, სრულიად საქართველოს,“ - დასძინა სოფო ლაყაბიძემ.

სოფო ფერაძე



ჩვენს გვერდით, აღზრდილს, ხიდრის საჯარო სკოლის, მე-11 კლასის მოსწავლეს თორნიკე ლომსაძეს ვულოცავთ 22 მაისს 18 წლის შესრულებას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და უღვევ სიხარულს. ღმერთი იყოს მისი მფარველი.

18-მა გაზაფხულმა გაიარა, 18-მა ყვავილობის თვემ, 18-ჯერ აყვავილდა ბაღში ია და 18 წლის გახდი შენ.

იაშა გაგომიძე და ანერი მუმლაძე

დაბადების დღეს ვულოცავთ ბატონ გურამ ჭიპაშვილს და ბატონ ჯემალ ჩხეიძეს. ვუსურვებთ მათ ჯანმრთელობას, ღვთის წყალობას, გახარებას თავიანთ ოჯახებთან ერთად. ს/ს „იმერის“ თანამშრომლები

ვულოცავთ ეთო მალრაძეს, ელიზბარ მალრაძეს, ჯაზა მალრაძეს, დავით ყრუაშვილს და ჯაზა ჭყომიძეს მარეულიის საჯარო სკოლის დამთავრებას.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წინსვლას და უახლოეს მომავალში - სტუდენტობას. ბავშვებო, ძალიან გვიყვარხართ, მოგვენატრებით!

სალომე ყრუაშვილი, თამრო მალრაძე, თამთა ჭყომიძე, მარიამ არევაძე, მადონა ცისკაძე

ნადაბურის საჯარო სკოლის პედაგოგს ნინო ველაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ყოველდღიურ ბედნიერებას, უღვევ სიხარულს. მომავალ დაბადების დღეს გვენახოს დაოჯახებული. ღმერთი ფარავდეს მის ოჯახსა და ახლობლებს.

ნადამურის საჯარო სკოლა

ივ. აბაშიძის სახელობის კულტურის ცენტრთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „უმის“ (ხელმძღვანელები ელისო და ზაზა ლურსმანაშვილები) ვულოცავთ სახალხო ანსამბლის წოდების მინიჭებას. ვუსურვებთ მომავალში კვლავ დიდი წარმატებებით გაეხარებინოთ ჩვენი თანამემამულენი.

ივ. აბაშიძის სახელობის კულტურის ცენტრის თანამშრომლები

ვულოცავთ თინათინ მალრაძეს მეჩვიდმეტე შვილთაშვილის, მზია და მალიკო მალრაძეებს პირველი შვილიშვილის, თინიკო მალრაძეს ძმისშვილის, შორენასა და გიორგის გაუშვილის შეძენას. ვუსურვებთ პატარა ლუკას ბედნიერ ბავშვობასა და საუკეთესო მომავალს.

იაშე მალრაძე ოჯახით

მარეულიის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: თეონა, გიორგი, დათო და ჯაზა ჭყომიძეებმა, ლექსო კვინიკაძემ, მექა ლორთქიფანიძემ, საზა და ოთო მალრაძეებმა, ნიკა მლუაშვილმა, ნიკა ქურდაძემ, ივერი ფერაძემ პირველი ადგილი მოიპოვეს კარატეში. ვულოცავთ მათ ბრწყინვალე გამარჯვებას და ვუსურვებთ მომავალში მრავალჯერ გაეხარებინოთ გულშემატკივრებით.

სალომე ყრუაშვილი

## გიწვევთ სასწავლებლად

უკრაინის პერსონალის მართვის საერთაშორისო აკადემია ქუთაისსა და მესტაფონში აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას ბაკალავრიატის და კოლეჯის შემდეგ აკრედიტირებულ სპეციალობებზე: იურიდიული, ჯანდაცვა, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვა.

სტუდენტს, პირველი კურსის შემდეგ, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია სწავლა გააგრძელოს კიევში და შემდეგ ლონდონის ოქსფორდის უმაღლეს კოლეჯში.

სამსლიან პროგრამადამთავრებულს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს ბაკალავრიატის მე-2 კურსზე.

გთავაზობთ: ჩარიცხვას ეროვნული გამოცდების გარეშე აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლის დიპლომს, რომელიც აღიარებულია საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის მიერ სწავლების საფასურის გადახდის შედეგადთან პირობებს კონკრეტული სპეციალობის ბოლო კურსამდე სწავლების საფასურის უცვლელობას უმაღლესი კვალიფიკაციის ლექტორებს პრაქტიკების გავლას საქართველოსა და უკრაინის ცნობილ კომპანიებში მისამართი: ქუთაისი, წყნეთის ქ. #76. ტელ.: 591 152 162 მესტაფონი, შაპორაოვის ქ. #10. ტელ.: 593 21 19 64. www.mayp.com.ua

ვყიდი ოროთახიან ბინას სოლომონ მეფის ქ. #56 (ა) კორპუსში მესამე სართულზე. დაინტერესებული პირები დამიკავშირდით ტელეფონით შემდეგ ნომერზე: 599 77 65 95.

## მადლობა თანადგომისათვის

უდიდეს მადლობას ვუხდით ხარაგაულის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორს, ქალბატონ მაია ბლუაშვილს, პედაგოგებს - დარეჯან გვაძაბას, ქეთევან ხარაძეს და მთელ კოლექტივს იმ დახმარებისა და თანადგომისთვის, რომელსაც ისინი წლების მანძილზე იჩინებ ჩვენი სკოლის მიმართ და არ იმერებენ დროსა და ენერჯიას თითოეული მოსწავლისადმი.

წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პედაგოგები

## მადლობა პროფესიონალ ექიმს

გასული წლის იანვარში უძიმესი დაავადებით ძალიან ცუდად ვახდა ჩემი მეუღლე. მისი გადარჩენის იმედი აღარავის ჰქონდა. არ შეიძლებოდა მისი ტრანსპორტირება. ამიტომ სახლში გამოვიძახეთ უდიდესი გამოცდილების მქონე, მაღალი დონის პროფესიონალი ექიმი გონა ჩხაბერიძე. მისი უტყუარი დიაგნოზისა და სწორი მკურნალობის შედეგად ავადმყოფი მალე გამოკეთდა.

მინდა თქვენი გაზიარების საშუალებით უდიდესი და უღრმესი მადლობა გადაუხადო უბადლო ცოდნისა და გამოცდილების ექიმს გონა ჩხაბერიძეს და მის გამზრდელ მშობლებს.

პატივისცემით, პავლე კვინიკაძე სოფ. ქვები

## მადლობა სითბოსა და ყურადღებისთვის

მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ხარაგაულის #2 საბავშვო ბავშვების მთელ კოლექტივს დიდი სითბოსთვის, მზრუნველობისთვის, ყურადღებისთვის და იმ ცოდნისათვის, რაც თქვენ შესძინეთ ჩემს პატარა ნინო ანთაურს. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ. დიდხანს ვეღვანოთ პატარების აღზრდის საღარაუტოზე.

პატივისცემით, ნონა ციციშვილი

## „ერთი გადახურული“

ვეფერებით ჩემო ხარაგაულელებო, ვეფერებით საყვარელი გაზიარების „ჩემი ხარაგაული“ კოლექტივს, რომლებიც ყოველთვის მამოგვან საშუალებას ჩემი გულისთვის ხმამაღლა გამოვხატო.

„ერთ გადახურული“ ანუ ერთ კორპუსში ცხოვრება თავისი წესების დაცვას მოითხოვს, მაგრამ დამერწმუნებით, ძალიან კარგი და საინტერესოა. ერთადერთი შვილის გამო თბილისში მიწვევს ცხოვრება. ახლა უფრო შევიგრძენი ერთ კორპუსში ცხოვრების მნიშვნელობა. მეზობლები ჩამოსვლის დროს ისე მხვდებიან, როგორც თავიანთი ოჯახის წევრს. მადლობა ჩემი შვილის ნათლიებს მაია მდინარაძეს, ოლევი

ლაყაბიძეს, ქალბატონ ქეთევან ნანიტაშვილს, ბატონი გურამ ჭიპაშვილის ოჯახს. დამერწმუნეთ ასეთი ადამიანების გვერდით ყოფნა დიდი ბედნიერებაა.

სულ ახლახანს ჩვენს ბინას გამოაკლდნენ საყვარელი ქალბატონები: ნაზი ბერაძე, ნანული მალაგვილიძე, ნანა წერეთელი. ღმერთმა განგვინათლოს მათი სულეები. მინდა მივლინა ხარაგაულმა გაიგოს მათი მეუღლეების დიდი ამაგი. ბატონები კიზო და რევექენი ისე უვლიდნენ დავრდომილ მეუღლეებს, განცვიფრებულები ვიყავით. მინდა ჩვენი „ერთი გადახურული“ ყველა მოზინდარეს ჯანმრთელობა ვუსურვო.

ნაზი იაშვილი

## ჯიხნდი

დ. ხარაგაული  
24.05 - ცვალებადი მოდერულულობა უნალექოდ, დღე +32°C, ღამე +18°C;  
25.05 - ცვალებადი მოდერულულობა მცირე ნალექით, დღე +26°C, ღამე +19°C;  
26.05 - ცვალებადი მოდერულულობა მცირე ნალექით, დღე +28°C, ღამე +17°C;  
27.05 - მოდერულულობა ნალექით, დღე +29°C, ღამე +19°C;  
28.05 - ცვალებადი მოდერულულობა მცირე ნალექით, დღე +23°C, ღამე +17°C.

პიციხი  
24.05 - ცვალებადი მოდერულულობა უნალექოდ, დღე +32°C, ღამე +18°C;  
25.05 - მოდერულულობა ნალექით, დღე +26°C, ღამე +20°C;  
26.05 - ცვალებადი მოდერულულობა მცირე ნალექით, დღე +28°C, ღამე +18°C;  
27.05 - მოდერულულობა ნალექით, დღე +29°C, ღამე +20°C;  
28.05 - ცვალებადი მოდერულულობა მცირე ნალექით, დღე +24°C, ღამე +18°C.

პორთი  
24.05 - ცვალებადი მოდერულულობა უნალექოდ, დღე +30°C, ღამე +16°C;  
25.05 - ცვალებადი მოდერულულობა მცირე ნალექით, დღე +27°C, ღამე +18°C;  
26.05 - ცვალებადი მოდერულულობა მცირე ნალექით, დღე +27°C, ღამე +16°C;  
27.05 - მოდერულულობა ნალექით, დღე +28°C, ღამე +18°C;  
28.05 - ცვალებადი მოდერულულობა მცირე ნალექით, დღე +26°C, ღამე +16°C.

პორთი  
24.05 - ცვალებადი მოდერულულობა უნალექოდ, დღე +29°C, ღამე +14°C;  
25.05 - ცვალებადი მოდერულულობა მცირე ნალექით, დღე +26°C, ღამე +15°C;  
26.05 - ცვალებადი მოდერულულობა უნალექოდ, დღე +26°C, ღამე +14°C;  
27.05 - მოდერულულობა ნალექით, დღე +26°C, ღამე +16°C;  
28.05 - ცვალებადი მოდერულულობა მცირე ნალექით, დღე +24°C, ღამე +13°C.

<p><b>მთავარი რედაქტორი</b> <b>ლაურა გომოლაძე</b> 593 900 501</p>	<p><b>რედაქტორის მოადგილე</b> <b>ნინო კაპანაძე</b> 593 35 65 80</p> <p><b>თამთა გოგოლაძე</b> 555 57 45 78</p>	<p><b>ლიზიანერი</b> <b>შოთა ლომიძე</b> 557 10 20 47 shotiko@lomidze.info</p>	<p><b>რედაქციის წევრები:</b> სოფო ფერაძე, ანი ჭიპაშვილი, სალომე ბუხნიკაშვილი, გიორგი ლომიძე, ნინო ბლაძიკე, ნინო მჭედლიძე, მარიამ მაქაძე, ანა გოლუბანი, ნინო ქველიაშვილი, გვანცა ლომიძე, თიკო ლურსმანაშვილი, ხეინა ჭყომიძე</p>	<p>მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ. №17 <b>ტელე 0 433 22 16 27</b> 593 900 501 <b>gogoladze.laura@gmail.com</b> გაზეთი რეგისტრ. №47/5-ბ-2</p>	<p><b>დაბეჭდა შპს „მამ პოლიგრაფი“</b> ქ. ქუთაისი ა.კ. წყნეთის ქ. №86 ტელ. 599 95 96 86 0 431 23 45 54</p>
---------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------